ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ80.80212217**

თარიღი:**09/08/2021**

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა

დამუშავებისა და აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის შესრულების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის I ნაწილის „ე'' პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალურ მინაცემთა დამუშავებისა და აღრიცხვის წესი (თან ერთვის).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (ქ. ცაგერი, ასათიანის ქ. N14).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ავთანდილი უგრეხელიძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5100, ქ.ცაგერი. რუსთაველის ქ.№58. ტელ.: (+995) 599 18 24 25,ელ. ფოსტა: INFO.CAGERI@GMAIL.COM
5100, RUSTAVELI STR. #58, TSAGERI,GEORGIA, TEL.: (+995) 599 18 24 25 EMAIL: INFO.CAGERI@GMAIL.COM

დანართიN1

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა

და აღრიცხვის წესი.

---

1. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურად გარანტირებულ დაცვას.
2. ამ წესში „პერსონალირი მონაცემები“ გულისხმობს „პერსონალურ მონაცემთა წესის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა'' პუნქტით განსაზღვრულ მცნებას.
3. ეს წესი ვრცელდება მერიაში ავტომატური და ნახევრად ავტომატური, ასევე მატერიალური წესით მონაცემთა დამუშავებაზე.
4. მონაცემთა დამუშავების პრინციპებია:
   - სამართლიანობა და კანონიერება.
   - მონაცემთა სუბიექტის ღირსების დაცვა.
   - კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნები.
   - მონაცემების იმ მოცულობით დამუშავება, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.
5. მონაცემთა დამუშავების საფუძველი:
   - მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით.
   - მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.
   - მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.
   - მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.
   - მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).
6. მონაცემთა დამუშავებისათვის გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობით თანხმობა.
7. პერსონალურ მონაცემების გაცემის უფლება გააჩნია მერიის სტრუქტურული ერთეულების მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების განყოფილებასთან შეთანხმებით.
8. როდესაც პერსონალური მონაცემების გაცემის მოთხოვნა კანონიერია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი განსაზღვრავს კონკრეტული ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირს და აღნიშნულზე ინფორმაციას აწვდის მონაცემთა სუბიექტს.
9. მონაცემთა შეგროვება დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტს განემარტება:
   - მონაცემთა დამუშავების მიზანი, ვინ და რა სახით ითხოვს პერსონალურ მონაცემებს, მისი შეგროვებისა და გაცემის ვადები.
   - მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს გაეცნოს მასზე შეგროვებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს მასში ცვლილებები და დააზუსტოს ან შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით შეიცვალოს აღნიშნული მონაცემები.

10. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მის მიერ გამოყოფილი პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას გამჟღავნებისაგან, უკანონო შეცლისა ან განადგურებისაგან.
11. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. კერძოდ:
    - მის შესახებ, რომელი ინფორმაცია მუშავდება.
    - მონაცემთა დამუშავების მიზანი.
    - მონაცემთა დამუშავების სამსახურებრივი საფუძვლები.
    - რა გზით შეგროვდა მონაცემები.
    - ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფიძველი და მიზანი. აღნიშნული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს მიეწოდება დაუყოვნებლივ ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.
12. თუ პერსონალურ მონაცემთა მიწოდების განაცხადში მკაფიოდ არ არის გაწერილი მოთხოვნის კანონიერი საფუძვლები, არ არის განმარტებული ასეთი ინფორმაციის მიწოდების ამოცანები და მიზანი შესაბამისი პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს დასკვნას პერსონალურ მონაცემთა შეგროვება - მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც წერილით მიეწოდება ადრესატს.
13. პასუხიმგებლობა აღნიშნული წესის დარღვევასთან დაკავშირებით განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' კანონის მე-7 თავით.